



საკოლიტიკო, საგეგნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის უკველ კვირა ღღეს
 № 33 ა ზ ვ ი ს ტ ო 9 1898 წ. № 33

შინაარსი: ბისმარკი ნ. უორდანიასი. — სხვა და-სხვა ამბავი. — „გებლის“ კორესპონდენციები. — გვირიდან გვირამდე. — სი-
 მღერა ლექსი ბ. დავითაშვილისა. — ქვემო მაჩხანის დამხარებელი საზოგადოების კრება — პე — სი. — თსუელებანი შამია გურიე-
 ლისა (შემდეგი) ივ. გომარაულისა. — ეს ძველი ფულა (შემდეგი) სოფლის კაცის და გებლის ფოსტა.

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

ბ ი ს მ ა რ კ ი .


დი კიდე ერთი შესანიშნავი პირი საფლავში ჩაესვენა, კიდე ერთი გამოჩენილი მოღვაწე ქვეყანას მოაკლდა. ის, ვისაც სახელი ორმოცი წლის განმავლობაში გრგინავდა მთელ გერმანიაში, მთელ ევროპაში, დღეს აღარ არის; ის, ვისიც ერთი სიტყვა შეარყევდა მთელ მხარეს, მთელ სახელმწიფოს, დღეს უძრავად დევს ისე, როგორც ყოველი უბრალო მომაკვდავი. ოტო ბისმარკი მონაპოვნილი 1871 წლიდან 1891 წლამდე გერმანიას მეთაურობდა, როგორც სახელმწიფოს პირველი კანცლერი, 91 წ. შეწყდა მისი ძლიერი სიტყვა, როგორც კანცლერისა, ხოლო წელს, ამ 20 დღის წინეთ, შეწყდა მისი სიტყვა, როგორც ადამიანისა, როგორც უბრალო მეტყველისა.

ვინ არის ბისმარკი? რით დაიმსახურა მან ასეთი სახელი? რით გახდა ის შესანიშნავ პირათ?

ადამიანის მოღვაწეობა, მისი სამსახური და სახელი განიზომება იმოდენათ, რამდენათაც ის თავისი მოქმედებით აღბეჭდავს თანამედროვე ცხოვრების მდგომარეობას, თანამედროვე საზოგადოების განწყობილებას და მის ძირითად მიმდინარეობას. ცხოვრება

ერთობ დაუდგრომელია, ის მუდამ ღელავს და ბო-
 ბოქრობს, ის სხვა და სხვა დროს წარმოშობს სხვა და სხვა კითხვას, და შეანძრევს მთელ ხალხს, მთელ ერს. მის შესაგნებთ ფეიქრობს არა ერთი და ორი, მის გადასაჭრელათ იბრძვის არა ასი და ორასი. ეს კითხვა, რამდენათ ღრმა და ძირითადია, იმდენათ უფრო ეხება ის ხალხის ყველა ნაწილებს, ყველა კლასებს. თითოეული ამათვანი მას სხვა და სხვანაირათ უყურებს, სხვა და სხვანაირათ ატანს ხელს და ბოლოს მისი გადაჭრა წილათ ხედება ერთ რომელიმეს. და აი, როცა საზოგადოებაში აღიმართება ერთი ან რამდენიმე ისეთი პირი, რომელიც ამ საერთო მაჯის ცემას საუკეთესოთ გამოხატავს, საერთო სულის კვეთებას თავის არსებაში გადაიტანს და მით თავის ერთ „მე“-ს მთელ საზოგადოებათ აქცევს — აი, ასეთი პირი ხდება შესანიშნავ პირათ, გამოჩენილ მოღვაწეთ და ხშირათ გმირათაც. გმირი იმიტომ არის გმირი, რომ თავისი საქმით დაანძრევს ერის ყველა მოპირდაპირე კლასებს და მით თითოეულ პირსაც კი იძულებულ ჰყოფს მისკენ მიიხედოს და მისი ვინაობა იკითხოს. შეიძლება მისი ღვაწლი წარმოებდეს ერთი რომელიმე კლასის, ერთი რომელი

ქ. მარქსის საზ. სკ. სარ
 სახ. კომუნალიზ. ს. სკ. სარ




მე წყობილების სასარგებლოთ, მარა ეს სულ ერთია, ის მაინც რჩება შესანიშნავ კაცათ, მხოლოთ იმიტომ რომ ის შედეგია საზოგადო ძალთა განწყობილების და მიზნება ამ განწყობილების აქეთ თუ იქით მიმართვის. ის შესანიშნავია მხოლოთ იმიტომ, რომ მასში თავი მოიყარა თანამედროვე ხანის ყველა ძაფებმა, მასში გაიკეთა ნასკვი და მისი ბიოგრაფიაც არის ამ ხანის საუკეთესო დამახასიათებელი. ასეთი პირი ბევრი არ არის ისტორიაში. და აი, ერთი ამათგანი უეჭველათ იყო ბისმარკი. ბისმარკის წამოყენება ერთათ ერთ გერმანიას შეეძლო, მისი სარბიელი ერთათ ერთი გერმანია უნდა ყოფილიყო. ის საგანი, რასაც ბისმარკი ემსახურებოდა, მხოლოთ აქ იყო საჭირ-შაროტო კთხვათ, მხოლოთ აქ წარმოიშვა ის და მასთან ერთათ უნდა წარმოშობილიყო ბისმარკიც. რა არის ეს კთხვა? ამ საუკუნის გერმანიის ძირითადი მიდრეკილება იყო: ერთი მხრით, თავისი პატარ-პატარა სამეფოთა მოსპობა და სამშობლოს გაერთიანება, მეორე მხრით, ამ გაერთიანებულ სამშობლოს დემოკრატიულ საძირკველზე აგება. ეს ორნარი მიდრეკილება შეიქმნა დრამათ გერმანიის რევოლიუციისა (1848 წ.). მარა გერმანიის გაერთიანება ნიშნავდა მის მთავრობის გაუქმებას. მაშასადამე ამის წინააღმდეგ აი ეს მთავრობები უნდა გამოსულიყვნენ, ხოლო დემოკრატიული საფუძველი ნიშნავს წოდებობის და მტარვალობის მოსპობას და თავისუფლება-თანასწორობის დამყარებას, მაშასადამე ამის წინააღმდეგ მოწინავე წოდება და ბიუროკრატები უნდა გამოსულიყვნენ. და მართლაც ესენი ხელი ხელ გაყარლი რევოლიუციას შეებრძოლენ და ბოლოს კიდევაც სძლიეს, დარჩა ისევ დანაწილებული გერმანია და დაობებული წყობილება. მარა რევოლიუციის დამარცხებით სრულებით არ დამარცხებულა სარევოლიუციო დროშა. ის კიდევ უფრო გაიშალა ხალხში და დაჰყარა მთელი გერმანია. გაერთების მებრძოლათ და მებაიროტრეთ დარჩენ ისევ დემოკრატიული პარტიები. გერმანიის გაერთიანება დემოკრატიის მიერ წარმოადგენს გერმანიის გადემოკრატებას. ერთობა და დემოკრატობა, სამშობლო და თავისუფლება მჭიდროთ დაკავშირდენ ერთმანეთთან. ვინც პირველში გაიმარჯვებდა, ის გაიმარჯვებდა მეორეშიაც. ვის უნდა მოეხდინა ეს გაერთიანება? ხალხი ამბობდა ჩვენო. ამით შეშინებული რეაქციონერები გაიძახოდენ: არ გვინდა ერთობაო. და აი, ამ დროს წარმოადგა პრუსიის უცნობი მინისტრი—ბისმარკი—და განაცხადა: თქვენ ორივე შემცდარი ხართ, ერთობა დიხაც საჭიროა, ამაში მე ვეთანხმები ხალხს, მარცხს ერთობა უნდა განხორციელდეს ჩვენის, მთავრო-

ბის, ხელმძღვანელობით, აი ამით განვირჩევით ხალხისაგანო. ეს განსხვავება ერთი შეხედვით უმნიშვნელოც არის და ასე ეგონა მაშინდელ ბევრ დემოკრატებსაც. მათ სიხარულოს საზღვარი არ ჰქონდა, თვით მთავრობა გადმოვიდა ჩვენ მხარეზეო. მარა ძველი ლათინთა ანდაზის არ იყვის, სწორეთ ეს გადასვლა შეიქნა საშიშარი. სწორეთ აქ იმარჩებოდა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც შემდეგ ნათელი შეიქმნა. ზევით ეთქვით, რომ ერთობა ხალხის მიერ ნიშნავდა ხალხის უფლებებებს გაფართოებას და დემოკრატიის გაბატონებას. მაშასადამე ერთობა მთავრობის და ისიც პრუსიის მთავრობს მიერ, ნიშნავდა ამ მთავრობის უფლებების გაფართოებას და ბიუროკრატის გაბატონებას. ბისმარკის მიზანიც სწორეთ ეს იყო. ამით მან ერთი დაკერით თავისკენ მიიმხრო თვალ-აბნეული პროგრესისტები და თვალ-ხილული რეაქციონერები, ხალხი და აზნაურობა, რევოლიუცია და რეაქცია-ბისმარკში შეერთდენ და ასე გაუმხერაზებული ბისმარკი მოედანზე გამოვიდა. ბისმარკის გამარჯვება—ეს გერმანიის გაპრუსიელებაა, ეს პრუსიის გაბისმარკებაა. მას გერმანია უნდა ჩაება პრუსიაში და ხალხი კონსერვატიულ წყობილებაში. ერთი სიტყვით, ბისმარკმა ხალხს გამოართვა ხელიდან გაერთიანების დროშა და გამოუტანა: თქვენ მე მომეყვითო. რა გზით უფრო გაჰყვებოდა მას ხალხი? ხალხი ერთაწათ ჩაბმულია საშიშარო საქმეებში. აქ პარტია პარტიას ებრძვის თავისუფლებისათვის, ხალხიც ამით არ ს დაინტერესებული და სცვა არა ახსოვს რა. ბისმარკმა რომ თქვას თავისუფლება არ გვინდაო, მორჩა და გაათავდა. მას აღარაფერ ენდობა და არც ვინმე გაჰყვება. მაშ სად არის ხსნა? თანამედროვე კთხვა, თქვა მან პარლამენტში 1863 წ.—უნდა გადაწყვიდეს არა პარლამენტალური ბრძოლით, არამედ რკინით და სისხლითო. ე. ი. ომებია საჭიროო. ცხადია, ბისმარკმა მოინდომა ხალხის ყურადღების გარეო გატყუება, მისი ომის ეელზე გაყვანა, მტრზე გამარჯვება და მით საშიშარო ბრძოლის შესუსტება, შინაური მტერის დამარცხება. ერთი სიტყვით შინაური მტერთა გარეშე მტერთან დატაკება და მით ორივეზე გამარჯვება—აი ბისმარკის მიზანი და საშუალება. ეს გვიანი ორიგინალური იქნებოდა, რომ ის წინეთ ნაპოლეონ მესამეს არ გამოეგონებია და პრაქტიკაში არ შეეცანა. ბისმარკი განაპოლეონდა და ორი ნაპოლეონისათვის, მოგვხსენებათ, დედა მიწა ვიწროა, ერთ-ერთი უნდა გამქრალიყო ღ კიდევაც გააქრო ნამდვილი ნაპოლეონი ყალბმა ნაპოლეონმა.

ასე თუ ისე, ბისმარკის პლანი იყო ხალხის ომებში ჩაბმა და მით ხალხის მორჩილებაში ჩაჭერა. პლა-

ნი თუ ნაპოლეონურია, მისი სისრულეში მოყვანა კი სწორეთ ბისმარკულია. პირველათ, ის შეებრძოლა პაწია დანიას და ორი დიდი პროვინცია წაართვა. ამ გარემოებამ პრუსია ასწია მთელ გერმანელთა თვალში. წათამამებული ბისმარკი 1865 წ. შეებრძოლა — მეტოქე ავსტრიას და დაამარცხა. ავსტრია გაავლო

იფეთქა ამ სანატრელ ომმაც. საფრანგეთი და მარცხდა. ამას მოჰყვა ელზას-ლორენის შემოერთება და მთელი გერმანიის გაერთიანება პრუსიის წინამძღოლობით. ამ ბიუროკრატიულ ერთობაში ხალხიც რომ დაინტერესებულყო ბისმარკმა შემოიღო გერმანიის ერთი რეისხტაგი და ყველა სრულ



ბ ი ს მ ა რ კ ი.

გერმანელთა „კავშირისაკან“ და თითონ გამოვიდა დანარჩენ გერმანიის იმედათ და სასოებათ. პრუსიას შეუერთდა გერმანიის რამდენიმე წერილი სამეფო და დააარსეს ჩრდილო გერმანიის „კავშირი“. ამასთანავე სამხრეთ გერმანიას პირობით შეეკრა, ომი თუ მოგვიხდეს ვისმესთან ერთათ ვიომოთო. ამით მომხადდა ნიადაგი მომავალი დიდი ომის. 1870—71 წ.წ.

გაძლიერდნ გერმანიაში. მარა რკინით აგებული რკინითვე უნდა დაიფაროს. ელზას-ლორენის წართმევით სამუდამოთ გადაიმტერა საფრანგეთი, ხოლო ბიუროკრატიულ წყობილების განმტკიცებით გადაიმტერა ხალხი. გარეთ საფრანგეთი და შიგნით სოციალ დემოკრატია — აი ორი თავ-სახეთქი საგანი. პირელის წინააღმდეგ ბისმარკმა გაამარავლა ჯარები,

წლოვან გერმანელს დეპუტატთა არჩევის უფლება მისცა. ეს იყო ერთათ ერთი დემოკრატიული რეფორმა. და თუ ეს ბისმარკმა შემოიღო — იმიტომ, რომ ხალხსაც მოვიმადლიერებ და პოლიციური ბრძანებით ჩემ მომხრე დეპუტატებს ავარჩევებო.

ამნაირათ, ბისმარკის პლანი სისრულეში მოვიდა, გერმანია გააერთა პრუსიის მთავრობამ, პრუსიის კონსერვატიური წყობლება შექნა მთელ გერმანიის წყობლებათ, პრუსიის მეფე გერმანიის იმპერატორათ, და პრუსიის კანცლერი (ბისმარკი) გერმანიის კანცლერათ. კონსერვატივებმა გაიპარჯეს და

ყზარმები, გაძლიერა მილიტარიზმი; ეს არის იმავე დროს მეორის წინააღმდეგი და ამასთან დაუბრუნო განსაკუთრებითი კანონები: მან მთელი პარტია გამოაცხადა უკანონო და დაუწყო დენა. დენა დაუწყო აგრეთვე კლერიკლებს, რომელნიც ბისმარკის ხელმწიფობაზე მალლა პაპის ხელმწიფობას აყენებდენ. სოციალ-დემოკრატია გაძლიერდა და 1891 წ. შემდეგი კითხვა წარმოადგა: ნუ თუ ეს ამოდენა ხალხი კანონ გარეშე დაეყენოთო. მეფე ამის წინააღმდეგი იყო. ბისმარკი კი ისევ ძველ კანონს მომხრეობდა, ბისმარკმა დაანება თავი სამსახურს და სოციალ-დემოკრატია ალიარებულ იქმნა კანონიერ პარტიათ.

ბისმარკი დაეცა, ბისმარკი გადაიცივალა, მარა მისი შექმნილი მილიტარული და ბიუროკრატული სისტემა ძალაში დარჩა და დარჩება მანამდის, სანამ დღევანდელი გერმანია ძირიანათ არ შეიცვლება. და აი, აქეთ მიიშართება გერმანიის მუშათა პარტია...

ქიზაყი.

ნ. ყოჯაძანი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ს

აპრაკი არ უნდა, რომ მრეწველობა ძრიელ ვითარდება რუსეთში, და რასაკვირველია, მის განვითარებასთან თავს იჩენს იგივე საზოგადო მოვლენები, რაც დასავლეთ ევროპაში შეგებდება. ამაზე საინტერესო ცნობები გამოაქვეყნეს („Перечень фабрикъ и заводовъ“) 1894—95 წლების შესახებ.

საზოგადო რიცხვი ქარხნებისა 1894—5 წ. იყო მთელ იმპერიაში 18,071; მათში 14,578 სამრეწველო დაწესებულება, ანუ 80% ეკუთვნოდა ევროპის რუსეთის 50 გუბერნიას, და 2,346, ანუ 12%ზე მეტი პოლონეთის მხარეს. 1885 წელს კი იმავე 50 გუბერნიაში ითვლებოდა 17,014 ქარხანა, პოლონეთში—2,329, ამ გვართ ათი წლის განმავლობაში 50 გუბერნიაში ქარხნების რიცხვს დაკლებია 2,436, ანუ 14% პოლონეთში კი სულ 17 ქარხანა დაკლებია.

მეორე მხრით სულ სხვას შევნიშნავთ მუშების რიცხვში. 1885—ს წელს რომ 100 კაცი მუშაობდა, დღეს მუშაობს 179. ეს ციფრიც ცოტაა. იმიტომ რომ 1885 წ. შეკრებილი იყო ცნობა მარტო დიდი ფაბრიკების შესახებ, 1895—6 წ. კი სულ ყველა ქარხნებია მხედველობაში მიღებული; მაშ თუ ამას მივაქცევთ ყურადღებას, გამოვა, რომ ათი წლის განმავლობაში მუშების რიცხვი ერთი ორათ ქცეულა.

პირველ შეხედვაზე აქ თითქო წინააღმდეგობაა: ქარხნების რიცხვი კლებულობს და მუშების რიცხვი ასე მრავლდება. რაა ამის მიზეზი?—კონკურენცია,


შეცილება: ერთ ქარხანასაც გამოაქვს საქონელი ბაზარზე და მეორესაც. რომელი მათგანიც უფრო კარგი ღირსების საქონელს დაბალ ფასათ გაჰყიდის, გამარჯვება მისია. ეს კი იმას უფრო შეეძლება, რომელსაც დიდი წარმოება აქვს. პატარა ქარხანას კი ყველაფერი შედარებით ძვირათ უჯდება; ამიტომ წერილობანი მწარმოებელი კოტრდება, დიდი ხევით იწევს. დიდი კაპიტალებიც თავს იყრის, ხდება კონცენტრაცია. ასეთია დღევანდელი მრეწველობის გზა.

ერთი კიდევ საინტერესო მოვლენა. ჩვენში ზოგი ყრუ ხალხი გვეუბნება ქალი კერას არ უნდა მოშორდესო, ცხოვრება კი სხვანაირათ სჯის და ქალისაგანაც ისეთსავე საზოგადო შრომას მოითხოვს, როგორც მამაკაცსაგან. 1887 წ. ყველა მუშებარ 73%⁰ მამაკაცი შეადგენდა, დედაკაცი და ბავშვები 27%⁰, 1894--5 წ. მამაკაცთა რიცხვი 67%⁰ ჩამოვიდა, დედაკაცებისა და ბავშვებისა—32%⁰ ავიდა.

ოდესაში არსებობს ბავშვების ფიზიკური განვითარების ხელ-შემწყობი საზოგადოება. ახლა ამ საზოგადოებასთან დაუარსებიათ დამოუკიდებელი განყოფილება, რომლის მიზანია დაიცვას ბავშვები სასტიკ ქცევისა და მანვე ექსპლოატაციისაგან. შინაგან საქმეთა მინისტრს უკვე დაუმტკიცებია განყოფილების წესდება. განყოფილებას ეყოლება რამდენიმე მზრუნველი. მზრუნველს ადგილობრივი ადმინისტრაცია მისცემს მოწმობას, რომლითაც მას შეეძლება გაშინჯოს ყოველ გვარი ქარხნები, სახელოსნოები და სხვა დაწესებულებანი და თვლი ადვენოს ბავშვების შრომას. მზრუნველი რომ შეჩიშნავს, ბავშვებს ცუდათ, უწესოთ ექცევიანო, შეატყობინებს თავის ბიუროს; უკანასკნელი პოლიციის დახმარებით ან სხვა ღონით მიიღებს ამა თუ იმ ზომას და ბავშს აცდენს ცუდ მდგომარეობას.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში მისაღები გამოცდა დაიწყოება 23 სექტემბერს. თხოვნა უნდა დაიწეროს ან მმართველის, ან მზრუნველის სახელზე. ვინც სასწავლებელში მიღებული იქნება, იმან უსათუოთ უნდა შეიტანოს—1 ოქტომბერს 60 მ. და 1 აპრილსაც—60.

ბ. ს. ყიფიანი, რომელსაც ბრალდებოდა ბ. გელეიშვილის შეურაცხყოფა, მომრიგებელმა მოსამართლემ დაძნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა სამი კვირით დაპატიმრება.



„კეკელი“ კორესპონდენცია.

ს. ჭიათურა. დადგა ზაფხული თუ არა ჩვეულებრივად დაუწყეს შავ-ქვას სერებიდან დ. ზესტაფონამდე ურმებით ზიდვა. ამის გამო აქამდე ჭიათურაში თავ მოყრილი ხალხი ახლა ამოდრავდა, ყველა საქმეზე აქეთ-იქით გაიბნ-გამოიბნა და მოედვა მადანს, ვინ ს. გომს და ვინ ზესტაფონს. ყველა დაფაცი-ფუცობს. დღემდე უსაქმობის გამო დათხოვნილ სერის სათავე რაინდებსაც ბეჭმა გაუღიმა (ვინ იცის იქნებ უკანასკნელათაც) და მათში ვისაც ათიოდე აჩაჩა ურმის გაგზავნა შეუძლია, მას ყველა ხვეწნა-მუდარით ეპატ-ყვება თეიურათ ოთხ და ხუთ თუმნიან ადგილზე. სულ კი ეს მიხლა-მოხლა გამოიწვია შავი ქვის მაზანდის ოდნავ აწევამ; როგორც ჭიათურაში ისე ზესტაფონში შავ-ქვას ფასი და მასთან ერთად მოთხოვნილობა მოემატა. ფოთის პატარა ნავთ სადგური, შავი-ქვის წასაღებათ დაბარებულ, საზღვარ გარეთის ყველა გემებს (ამ ქამათ 15 მდე) ვერ იტყეს, რის გამოც მათ შორის ათი-თორმეტი იძულებულია გარეთ ზღვაში გაჩერდეს და ჯვრს დაუცადოს.

წარსულ წელზე შედარებით მეურმეებსაც მოემატა გადატანის ქირა. ფუთ ქვაზე ზესტაფონამდე ჩასატანს იძლევიან სამ შაურს. თითონ ფუთი მადანში უღირთ სამი კაპეკი, მაშ ზესტაფონში ჩატანილი ფუთი მწარმოებელს უღირს 18 კ. ის კი ექსპორტერებზე ჰყიდის 16 კაპეკათ ფუთს. ერთი შეხედვით გამოდის თითქო მწარმოებელი თავნიდან ფუთზე ორ კაპეკს ზარალობდეს, აგებდეს; მარა ეს ასე არაა... მწარმოებლები ფუთზე ორ კაპეკს კი არ აგებენ ფუთზე ამდენს პარ აქეთ იგებენ. ამ გვარი ვაჭრული ანგარიშის საიდუმლოება შავ ქვაში დიდი ხანია შემოიღეს და დააკანონეს კიდევ „ათის-თავის“ ანუ, როგორც აქ ეძახიან „სკიდკის“, სახელწოდებით. „სკიდკას“ რამოდენიმეს ნება ყოფილობით ურიცხავენ მეურმეს, „რამოდენიმესაც“ ისე წონაში წაართმევენ და ამ რიგათ გაღიან ფონს. ეთქვათ მეურმემ ზესტაფონში ჩაიტანა ასი ფუთი ქვა, ათის თავის და ისე გამორთმეულის გამორიცხვით მეურმე მიიღებს დიდი-დიდი 67 ფუთის ანგარიშს ($67 \times 15 = 10$ მ. - 05 კ). ასი ფუთი მადანი თითონ უღირდა ($100 \times 3 =$) 3 მანეთი. მთლათ დაუკდება ზესტაფონს ჩატანილი 13 მ. 05 კ. ის კი ჰყიდის ფუთს 16 კ. ($100 \times 16 = 16$ მ.) ამ რიგათ მოგება დარჩება 2—95 კ. და თუ მეურმეს არც თავისი ნაოფლარი მისცეს, რაიც არა იშვიათათ მოხდება ზოგიერთი ღეთისნიერი პირისაგან, მაშინ ხომ, რა თქმა უნდა, ამ ჯურის მწა-

რმოებელს უფრო კაი დახლი დაურჩება წლის ღირებულება ლოს.

ურმებით ქვის გზავნა წელს უფრო მით არის საყურადღებო, რომ ქვის გადამტანთა (მწარმოებელთა) რიცხვი შარშანდელზე გაცილებით მეტია. როგორც ზევით მოვიხსენე მეურმეებსაც ქირა მოუმატეს და ბოლოს, რაც თავი და თავია, რაინდების ჩვეულებრივ მოღვაწეობას (იგულისხმებთ მეურმეების ცემა-ტყევა, შეცილება, ურთი-ერთ შორის ჩხუბი, აყალ-მაყალი და სხ. უწყისობანი) წელს მათ მოქმედებაში ვერ ეხედავ. ვისაც ჰქონია შემთხვევა და საკუთარი თვლით უნახავს (თუ არა უმეტესობას გაგონილი მაინც ექნება) ჩვენი ბახუსის თავყანის მცემი დევ-გმირების აფან ჩაფანი, არ შეიძლება გაკვირვებით არ იკითხოს მათი ასე დაცხრომის მიზეზი. მართლაც ყველა მათგანი დამშვიდებული გამოიყურება წინანდელ ბრძოლის ველზე, იარაღი არც ერთ მათგანს წელზე არ ჰკიდია, ეს სამკაული მათ ტანს არ უშვენებს. უწინ თუ მეურმეს რომელიმე მათგანი ყურით მიათრევედა საწყობზე, ახლა უბატონოთ ხმასაც ვერ სცემს. მანამ თუ რაინდების სურვილ-ნებაზე იყო ქვის წალება დამოკიდებული, ახლა ეს მეურმეების უფლება გამხდარა. გამოჩნდება რომელიმე მეურმე თუ არა, ერთად თავ-დაყრილი რაინდები მისცივიდებიან მეურმეს, შეეკითხებიან თუ ვისი ქვის წალებას სურვილს განაცხადებს, რის შეტყობის შემდეგ ერთ ერთი მათგანი მიუძღვება ამ უკანასკნელს საწყობზე და დანარჩენები, წინააღმდეგ მათი ჩვეულებისა, ჩამოეცლებიან. ერთის სიტყვით წელს არ არის აღრინდელი უწყს-რიგობა, არეულობა, რა თქმა უნდა თუ აწი ხელ ახლავ არ არივ დარჩეს დაეთარი. ეს ცვლილება სულ შარშან შემოდგომას აქეთ დამყარდა, ბევრ დავი-დარებას შემდეგ.

ცოტათი ფასის აწევამ (ფუთზე $\frac{1}{2}$ იდან 2 კაპეკამდე) ჩალვადრებს გულში დიდი ხნით დაგუბებული სამუშაო ქირის მომატების სურვილი აღუძრა. ამას წინათ, ორასამდე ჩალვადარი ერთად შეიკრიბა, მიზნის მისაღწევათ, სცადეს გაფიცვა, მუშაობაზე ხელის აღება, მარა მათმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ფიცი ზოგ ვაჭ-კაცს მტკიცე არ გამოადგა, მეორე მესამე დღეს კანტი-კუნტათ დიწყო ზოგ-ზოგმა მუშაობა, იმ თავის მართლებით, რომ ამ გზით ჩვენ ვერაფერს გავხდებით და ამასობაში შიმშილი ამოგეწყვეტსო. მათ მეორეთ წაბაძეს, მეორეს კიდევ მესამეებმა და ამ რიგათ ჩაეფუშათ მათი ნათობირები და ხელ ახლავ ამოდრავდა გაფიცული ჩალვადრობა. საზოგადოთ კი შავი-ქვის მუშა-ჩალვადრები ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაცვინული. ჩა-

ლელარი აწინდელი აღებული ქირით ძლიერ ძლიერობით ჰკეცავს ცხენებს და თავისთვის ლუკმა პურის ფასს ინარჩუნებს. სამუშაო კი ბევრი აქვს. ევრსტის მესამედი სიმაღლე მთა, ციცაბო კისერ-სატეხი გზით, დღეში ხუთ-ექვსჯერ უნდა აიარ-ჩამოიაროს, ამდენჯერვე ცხენები შავი-ქვით დასაპალნოს და დაცულოს, იცხოვროს თითონ ცხენებთან ერთად აუროლებულ თელაში, ისაზრდოეს მარტო პურით და წყლით (თუ არც ეს აქვს—ცივი მქადით) და სხ. და სხ. რაც შეიხება მადნის მუშების მდგომარეობას, ჩაღვადრებზე უარესი თუ არა, უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი არიან ჩაყენებული. რადგან კარგი შავი-ქვის ადგილებს, უმეტეს ნაწილათ, წინ მისსავლელი გზა აქამდე უთავ-ბოლო მუშაობის გამო, დაცული, დანგრეული აქვს; მადანი დაშორდა, ქვა ცუდი გამოსატანი შეიქნა 100,150 საყენის მანძილიდან დაბალი და ვიწრო გერაბით. ამიტომაც მუშა იძულებულია უფრო შორს წავიდეს, და იქიდან რის ჰაან-წყვეტით გამოათრიოს გარეთ, შიგნით მოტეხილი ქვა. გერაბს უნათებს ნათიანი ჰრაქი. ეს უკანასკნელი აესებს ისედაც გერაბში მომწყვდეულ მცირე, ნოტიო ჰაერს, მყრალი, ქვარტლიანი ბოლით. ამიტომაც შიგ მომუშავე კაცი საზარელი სანახავია, ნიადაგ ზანგსავით გაშავ-კუპრებული, გამქვარტლულ-გამურულია. მის აღმინაობას მოგაკონებს მარტო თეთრი კბილები და თვალები. ზოგისთვის კი ბედი ამ გარემოებასაც შეიშურებს და ცოცხლათ დამარხავს შიგ. ეს უფრო ხდება მაშინ თუ გერაბი ხეტყით გაუშავრებელია, თუ ალაგი თითონ რბილია, ან თითონ მუშამ თუ უწყს-რიგათ იმუშავა. ზემოდან ერთი ბელტის ჩამოვარდნა საჭირო, რომ იქ მყოფ მუშას სული გაათხზობინოს, ის კი ვისიც ჯერ არს, ადგენს ოქმს, რომელსაც აქამდე არავისთვის არაფერი ნაყოფი არ მოუტანია, გარდა იმისა რომ, მისი ყოფილი ამხანაგები სასამართლოში „კარგათ ჩვენებისათვის“ კარგათ ჩაიჯიბენ ორიოდ გროშს, რასაც ნიადაგ მოსდევს მადანში მოკლოლის გამტყუნება, ვითომ და მართლა უწყს რიგო მუშაობისათვის.

გ. ბუჭიძე.

დ. ზესტაფონი. (იმერეთი) მას შემდეგ, რაც 1895 წელს, წყალ დიდობამ ზესტაფონი გაანადგურა და სხვათა შორის ბევრი სავაჭრო ღუქნებიც წაღეკა, რამდენიმე მოვაჭრემ ააგო ოციოდე სავაჭრო შენობა, ერთ მიუფალ ალაგას, რათაც ზესტაფონი გაიყო ორათ; ზედა-უბნათ (ახალი ბაზარი) და ქვედა უბნათ (ძველი ბაზარი). აი, ამ ორ უბანთა შორის არის დღეს ჩამოვარდნილი საშინელი მტრობა, ლა-

მის ერთმანეთი დაგლიჯონ. ამის მიზეზი ის რომ, ახალ უბნელები შეცდენ ადგილის ყიდვაში, რადგანაც მუშტართათვის მისასვლელათ მოუხერხებელ ალაგას არის. ახლა რომ როგორმე გამოაკეთონ თავიანთი შეცდომა, მიმართეს სხვა და სხვა გვარ ხრიკებს... და ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარებით, უნდათ ქვედა უბნები, რომელიც შედგება სამას ღუქნამდე, გააუქმონ და წაართვან მათ მუშტარები (მყიდველები, რომლებიც ქვედა უბანში იკრიბებიან ბაზრობის დღეებში, თავიანთ ნაწარმოების გასასყიდათ და მის ნაცვლათ საჭირო საქონლის საყიდლათ). მერე რა გგონიათ, ნებით კი არა, არამედ ძალ დატანებით; ამ საქმეში მათ დიდ თანაგრძობის უწყეს ადგილობრივი ადმინისტრაცია. საკვირველია, ამ გვარი მათი ქცევა, ნუ თუ არ ფიქრობენ, რომ ხალხი, რაც ძველ უბანში ეტევა ბაზრობის დღეს, ზედა უბანში მის მივრთვდიც არ დაეტევა; გარდა ამისა ზედა უბნელებს ხალხისათვის თავისუფალი მისასვლელი გზა არა აქვთ, რისთვისაც ბაზარში მიმსვლელმა უნდა გადაიაროს რკინის გზის ლიანდაგზე, რომელ ზედაც მუდამ წამს განუწყვეტელია მატარებლის მიმოსვლა, და შეიძლება ბევრი კაცი იმსხვერპლოს. მერე საწყალი გასრესილ კაცის ოჯახს ვინ უპატრონებს? მარა ესენი ხომ იმათ არ ენალელებათ, ოღონდ თავიანთი დაჭინებული წადილი აისრულონ და თავისუფლათ დარჩენ ზედა-უბნელებათ.

სხვა მხრივ ზესტაფონს ცოტა გამოფხიზლება დაეტყო, როგორც იქნა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნა გველირსა. გარდა ამისა აქაურ სცენის მოყვარე ახალ თაობამ დააარსეს, ბ. ა. არაბიძის შენობაში, სამუდამო თეატრი, რომელიც სუყველაფრით კარგათ მოწყობილია, როგორც სცენით, დეკორაციით და ფარდით აკრთვე დასაჯდომ ალაგებით და ბუფეტით. ამ თეატრში პირველი წარმოდგენა გამართული იყო, სცენის მოყვარეთაგან, ადგილობრივ წიგნთ-საცავ სამკითხველოს. სასარგებლოთ; შემოსავალი ას ოც მანეთს უდრიდა. დადგმული იყო რუსულ-ქართული პიესები: ყველანი კარგათ თამაშობდნენ. განსაკუთრებით თავი ისახელეს, რუსულ პიესაში ბ. ბალენინმა, კალატაზომმა, ტროიკკიმ და კ. მ—ძემ; ქართულში: ქ. ოლიმპადა ბაქრაძემ, ბბ. კ. მ—ძემ, გ. ქ მა და ა. ა—ძემ; საზოგადოება დიდათ ნასამოვნები დარჩა.

ნაპკწკლი.

კვირიდან კვირამდე

ქ ი ზ ი ყ შ ი .


თფილისიდან სიღნაღამდე — აღაჩინის სკოლა — სიღნაღი — ქიზიყელი.

როგორც უნახანსკენლათ მოგახსენეთ ჩვენი „კვირიდან კვირამდე“ თფილისის შემოწყრა, ზურგზე გულა-ნაბადი აიკიდა, ხელში ყაფარჯენი დაიჭირა და აქეთ იქით დაიწყოთ თვალის ცეცება, საით წაეიდო. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა მოდი ერთი ის კუთხე დაეთვალიერო, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ და ცოტათ იცნობენო. ეს კუთხე ვახლავს კახეთი, ითქვა, ასრულდა. ერთ შენიერ დღეს სიღნაღისაკენ მიმავალ დილიქანში ამოეყავი თავი. — რამდენი საათი მოეუწოდებოთ სიღნაღამდე? შევეკრთხე მეეტლეს; — ჰამე? მომიგო მან და გაკვირვებით შემომხედდა მე კიდევ უფრო გაკვირვებით შეხედდე და კითხვა გაეუმეორე, მარა ამოთ. ის ერთიანათ გაკვირვებითი ნიშნათ გადაიქცა. თურმე ნუ იტყვიოთ ამ ყოველ დღე საქართველოში მოგზაურს ქართული ერთი სიტყვაც არ ცოდნია და ამასთანავე რუსულზედაც მწყრალათ ყოფილა, თუმცა ჩემ რუსულ კითხვაზე „დუნატი ჩასი“-ო გულზე მომხალა. როგორც იყო შეუფრიგდი ამ 12 საათსაც და ამ ახირებულ მეეტლესაც; კონდუქტორმა ააქლეა თაფისი საკრავი და თფილისის ქუჩებს გადასძახა: მშვიდობით მტყერო ღ სიციხე ქალაქისაო და გაეწიეთ. გიეწიეთ) სიხარულით, თითქმის აღფრთოვანებითაც. ეს არის გაეცხევეთ მდიდარ მცენარეულობაში და შეილნი ბუნებისა ეიგრძნობთ ამ დაკარგული მშობლის აღერსსო. მარა იმედი ჩქარა უიმედობათ გადაიქცა, აღფრთოვანება ჩქარა მტუნეარებათ შეიცვალა, სად არის ეს მცენარეულობა, სად არის ეს სანატრელი აღერსი? ველი ველს მოსდევს, გორა გორას, მთა მთას, მარა ყოველივე ეს გატიტვლებული, გამომხმარი, გავერანებული; მათ არ მოსაფს არც ტყე, არც ბუჩქნარი, არც ხეებთა ჯგუფი. ყველაფერს სახე ჩამოტირის, ყველაფერი მჭუნარებას მოუტავს. და ეს ასე მთელ გზაზე. მთელი დღე იაროთ და არსად ერთი ხეც ვერ დაინახოთ — ეს სწორეთ დაუჯერებელი ამბავია, დაუჯერებელი ამ ჩვენ ტურფა საქართველოში. მაშ სად არის ეს სიტურფე, ეს ბუნების სიკეკლუცე? და ან შეიძლება ბუნებრს ასეთი სილატაკე თუ გაწუნებს, სამაგიეროთ აღამიანთა მოქმედება და ნამოქმედარი გახარება? რა სათქმელია, ჯერ ერთი რომ აღამიანის სახესაც ნატრობ, ნეტავ აქა იქ მაინც დაამანხვაო. კაცი! სად არის კაცი! აქა იქ, კანტიკუნტათ, შეიძლება ვისმეს უცაბედათ თვალი მოასწროთ, მარა აქაც

ან გესმის „ჰამე“ და ან „ჩიტო“, სხვა ყოველივე... ხო ხილია. ამას ემატება კიდევ ნემცთა ახალშენი, (მარხანფელდი), რაც სამხრეთ გერმანიის სოფელს მოგაკონებს. შენობების პლანი, ეზოები, ქუჩები აქაც ისეთივეა, როგორც იქ, მხოლოთ სისუფთავე და სიძლიდრე იქ მეტია. ცხადია, აქ ნემცური და ქართული კულტურა დაახლოვებულა. ნემცს ქართველისაგან რამდენიმე ახალი თვისება შეუთვრება, ქართველს კი მისგან არა უსწავლიარა, რასაც იქავე მდებარე მისი მინერეულ-მონგრეული კარ-მიდამო ამუციცებს. ერთი სიტყვით, სოქენი, რუსი, ნემცი — აი ვინ იპყრობს აქეთ თქვენ ყურადღებას: ქართველი? ქართველი რალაცას დაუფრთხია, დაუმინებია და სადლაც მიფანტულ-მოფანტულა. ის არსად ჩანს, მისი ხმა არსად ისმის, მისი არსებობა არსად ცხადდება საქირა მისი მონახვა, მისი დამშვიდება და გზაზე გამოყვანა: შეხედე, რა ამბები ხდება ქვეყანაზეო...

* *

სალამოს ქაის შეეუდექით ციე გომბორის მთის აღმართს და ერთ საათში უკვე მოვიქეცით მის წვეროზე. და აი, მხოლოთ ახლა გადაიშალა თვალ წინ უხვი ბუნება კახეთისა, მხოლოთ ახლა გამოჩნდა ის საოცარი სანახაობა, რასაც ამოთ დაუწყებ ძებნას სხვაგან, სხვა ქვეყანაში. თქვენ ფეხ ქვეშ დაფენილია თვალთ უწედენელი ველი, სამივე მხრით კავკასიონის და გომბორის მთებით გარს შემორტყმული, შუაზე აღაზანით გაყოფილი. გამოღმა სულ ეენახი ღ სანხავი მიწებია, გაღმა სულ ტყე და მცენარეულობაა. ერთ აღავას ღენო დგება, მეორე აღავას პური მოდის, მესამე აღავას ხე-ტყე იჭრება, ერთი სიტყვით ეს ერთნაირი სალაროა, საკუჭნავოა, სათაც ყოველივე საქირო სურსათი თავის შესაფერ აღგილას არის. აი, ეს აღაზნის ხეობა ერთიანათ ხიბლავს და აჯადოებს მაღლიდან მაყურებელს. გინდა სულ იქით იცქირო, მთელი ყურადღება იმას მიაპყრო, მთელი გულ-გონება იქით გააქანო, მთელი შენი არსება იქ, იმ ბუნების საკვირველებაში გააქრო, გაღესო და მოკრძალებით შეუერთდე იმას, რამაც დასაბამი მოცა. აქ პირველათ გაეწყდება რომ შენ აღამიანი, ბუნების ბატონი და გერგვინი ხარ, აქ პირველათ გრძნობ ამ ვითომ და შენი ყმის — ბუნების — საღიადღეს და შენი თავის არარაობას. დიან, არარაობას! და განა ბუნება გაიკვირვებს იმას, რომ მის მდგლოზე რალაც სულიერი არსება დაცოცავს, წელში ოთხათ მოხრილი აღამიანი რალაცას ფოჩინობს? არა, ის ამისთვის მეტათ ამყია, მეტათ მედიდურია, მეტათ ძალგულოვანია. ჩვენ, მხოლოთ ჩვენ გვაკვირებს ის, და არა ჩვენ მას, მხოლოთ ის გვხიბლავს ჩვენ, ის გვბნევს გონებას, ის შეგვაცურებს ოცნების ზღვაში




და წარგეიტაცებს შორს, შორს, მიუწვდომელისაკენ. ხნიერს ავიწყებებებს ხნოვანებას, კვაბუკს სიკვაბუკეს, ბავშს სიბავშვს, ყველას და ყოველივეს ერთნაირათ იკრავს თავის ფართქალა გულში და თავისი ნაზი ალერსით განუყრელათ იმეგობრებს. აი, ამ ალერსს, ამ მეგობრობას აქ, ალაზნის მიდამოებში, უხვათ გრძნობ; ყოველი კუთხე, ყოველი ნაჭერი აქაურობისა გაქლენთილია ამ საამო ნექტარით და მისი სურნელოვანება აბნელებს მალლა, მთის წვეროზე, მდგომარე ადამიანსაც კი... არა, ამის კალმით აწერა ამისივე შელახვა, ნუ თუ შეიძლება ერთ გამოთქვა ის, რასაც ღრმათ იგრძნობ, რაც მთელ თქვენ არსებას შეარყევს? არა, იქ, სადაც გრძნობა აღფრთოვანებულია, ენა სდუმს, გულის თრთოლა ბორკავს მის მეტყველებას. ვიტყვი მხოლოთ, ვისაც არ უნახავს ალაზნის ხეობა—მას არ უნახავს არაფერი...


* *

სალამოს შევედით სიღნაღში. შეიძლება არც კი იცოდეთ, რომ კახეთი განიყოფება ორათ: ქიზიყი და ნამდვილი კახეთი. სიღნაღი პირველის ღედა-ქალაქია,

ეს ქიზიყის გულია, მარა, დახე საკვირველებას, ქიზიყი სრულიად გამქრალა მასში, მისი ბედი თუ უბედობა, მისი მწუხარება თუ სიხარული სრულიად არ აძგერებს ამ ახირებულ გულს. ქიზიყის სულის კვეთებას აქ ვერ უპოვია საბუდარი, აქ ვერ მოუყრია თავი, აქ ვერ წარმოუშობია თავისი საკუთარი ხელთუქმნელი სახე. ქიზიყი ისევე სოფლებში ფართი-ფურთოებს და მხოლოთ შორიდან უთვალ-თვალებს სიღნაღს: მეც მერგება ერთხელ შენი კედელის შენგრევაო. შენ გსურს ქიზიყელის ნახვა? მას ამაოთ დაუწყებ ძებნას სიღნაღში, ის აქ არ არის, ის ისევე კვირაობით თუ ჩამოვა, ეგების რამე გავყიდო და სიღნაღელთ ორიოდე გროში წაფართვაო, მარა ახლა მათ ეს იშვიათი „ვიზიტიც“ კი აუკრძალა სიღნაღმა, შენ შენთვის და მე ჩემთვისო. აი სიღნაღის ღედობრივი მზრუნველობა. ამ ახირებულ ღედა-ქალაქს ძალიან შეძულებია ქიზიყელი, სამაგიეროთ ძალიან შეუყვარებია მისა პური და ღვინო. ის მას ისე ჩინებულათ ცინცლავს სარჩო-საბადებელს, რომ საბრალო ქიზიყელი ექვში შედის: შეიძლება მე—მე არ ვიყოფო...



ღ უ ნ ა ი ს ნ ა ვ ი რ ე ბ ი .




რა არის შესანიშნავი სიღნაღში? რა იქნება, გარდა იმისა რომ აქაც ისეთივე ანგრეულ-დანგრეული ქუჩაა, როგორც ყველგან, ისეთივე მოსატყუებელი სასწორ არშინია, როგორც ყველგან, ისეთივე მუცლები მიგორ-მოგორავენ, როგორც ყველგან და ისეთივე ბულვარდლები ერთმანეთს თავს-აძულებენ როგორც ყველგან (აქაც არის ერთი სიღნაღური, ბულვარი). სიღნაღი უფრო შესანიშნავია გორაკებიდან. ის გაშენებულია გორაკებზე და სიამოვნებით გადაქერის ალაზანს. ერთი სიტყვით, სიღნაღი შორიდან მტერს მოჰკლავს, ახლოდან კი მოყვარეს...

* * *

მამ შევედგეთ ისევ ქიზიყელის ძებნას. შევიდეთ მის სოფელში, შევალთ მისი სახლას კარი.

ვინ არის ქიზიყელი? ქიზიყელი იმით განირჩევა არა-ქიზიყელისაგან, რომ მან არ იცის თუ რა არის ბატონ-ყმობა, ის არ ყოფილა არც ბატონათ და არც ყმათ. მას თავისუფლათ უცხოვრია, უმუშავია და უტარებია წუთისოფელი. ამ გარემოებას მასში განუვითარებია პირდაპირობა, უშიშრობა, გამბედაობა. ის, პირველ ყოვლისა, ამაყია, ქედ-მოუხრელია, მას ფეხებზე ჰკიდია ყოველივე: უფროსი, უნცროსი, შინაური, უცხო, მამა-კაცი, დედა-კაცი — ყველა ეს მისთვის სულ ერთია. ის ყველგან და ყოველთვის ქიზიყელია. მას სრულებით არ ენერხება თავაზიანობა, სინაზე, ტკბილი მოპყრობა; მისი ქცევა მოკლებულია ზრდილობას, მისი სიტყვა-პასუხი თავ-ხედურია. რაც უნდა ჰკითხო, უთუოთ აგდებულათ გიპასუხებს და მით გაგრძობიებს მის ვითომ და თავისუფლებას. მართალია ის თავისუფალი არსებაა, მარა ეს თავისუფლება პრიმიტიული, გაუთლელი, მოუხეშავია. და განა თავისუფლება უარს ჰყოფს ზრდილობას, სიფაქიზეს, თავმდაბლობას? სრულიადაც არა, პირ იქით, ყველაზე უფრო თავისუფალი ხალხი, ყველაზე უფრო ზრდილია. ფრანგი ენას ვერ მოაბრუნებს ისე, რომ ბატონი არ გითხრას. და თუ ის ამაყობს, ამაყობს არა როგორც პეტრე თუ ივანე, არამედ როგორც ფრანგი, შეილი საფრანგეთისა. პირადათ კი ის ძალიან თავმდაბალია. ქიზიყელის სიამაყე კი პირადაა, ის არასოდეს გამარჯობას არ გეტყვის, არაოდეს თავს არ დაგიკრავს, მობრძანდით არ გააძხვოს, ბატონობა არ წამოცდება. ეს არა განზრახ, წინდაწინ მოუვიქრებით, არამედ სრულიად ბუნებრივით, მოუვიქრებლათ, ანგარიშ მიუცემლათ. ეს კარა თუ ცუდი, მსაწონია თუ დასაწუნი —ამებზე ის თავს არ იმტერებს, ასეთი კითხვა არც კი დაებადება. ის ასე იქცევა, ხოლო რატომ ასე და არა ისე — ამის პასუხს ვერ მოგცემს. ის ფიქრობს მხოლოდ ერთ საქმეზე, მან უნდა იმუშაოს, ოფლი ღვაროს — აი მისი მოწოდება და დანიშნულება.

არც ამას უნდა ბეჭი ფიქრი და აზრი. ის მუშაობს იმიტომ რომ — იმუშავოს, ასე უმუშავია მის მამას, პაპას და ასე უნდა იმუშავოს თითონაც. მასზე ადამიანი ვერ გაბატონდა, სამაგიეროთ მისივე სამუშაო, მისივე გაკეთებული ნივთი მასზე თვით პყრობელობს. ის შრომობს არა ისე, როგორც თითონ სურს, არამედ როგორც სამუშაო უბრძანებს. აი მაგ. პურის გალენწეამ უბრძანა: აიყარე სოფლიდან და კალოზე გადმოსახლდით, ისიც იყრება და მთელ ზაფხულს, 20—30 ვერსის მანძილზე, დაბალ, ციებ-ცხელებიან ადგილას ატარებს; შეირყა სოფელი, დაირღვა ბინადრობა, აირია ურთიერთ შორისი განწყობილება. დიან, თუმცა, ქიზიყელს თავისუფალი წარსული აქვს, ის კიდევაც ამპარტაენობს ამ თავისუფლებით, მარა ის მაინც ძალიან ნაკლებათ არის თავისუფალი, მასში ძალიან ნაკლებათ არის ეს ბრძნობა შთანერგილი. მას არ ჰყოლია ბატონი — ადამიანი, მარა მას ჰყოლია და ჰყავს ბატონი — ბუნება, ბატონი — ეკონომიური წყობილება, ბატონი — უკულტურობა. და ამ ბატონს მორჩილებს დღესაც...



ს ი მ ლ ე რ ა .

გუძღვნი მ. ე — ას)

ემ ბედობაზე წაზუდა
ქნთი ვარსკვლავი ჰქრთებოდა;
მისი სხივები ჩემს გულსა
სანეტაროთა სკდებოდა.

ისიც შეშუდად სამყაროს!..
წამარტვა, ობლათ დამტოვა!
და მას შემდეგა ჩემ გულმა
სამაგიერო ვერ ჰპოვა...

მოწყდა! დახედა ჩემთვის წა!..
აღარ მივზავნის ნათელს!..
ღიმილის ნაცვლათ გულშია
დაუბუნია ნადგელსა.

წაო, მომხდე ბედით კრულს!..
ობლათ ტანტაღსა მკამრე:
ჩემი ვარსკვლავის მსგავსათ
მეც გამითხარე სამარე!..

ბ. დავითაშვილი.



ქვემო-მაჩხანის მომხმარებელი საზოგადოების კრება.

როგორც გამოცხადებული იყო გაზეთში ორ მარიამობისთვის სოფ. ქვემო-მაჩხანში (სიღნაღის მაზრა) მოხდა ხსენებული საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრება გაიხსნა დილის 11 საათზე. გამოცხადდა სულ 54 წევრი, რაც თითქმის შეადგენს წევრთა საერთო რიცხვის ერთ მესამედს (საზოგადოებას ჰყავს სულ 168 წევრი) ახალი, ნორმალური, წესდების ძალით, რომელიც დამტკიცებულია საშინაო საქმეთა მინისტრის მიერწარსულ წლის 13 მაისს, წევრთა საზოგადო კრება რომ კანონიერათ ჩაითვალოს ამისთვის საჭიროა წევრთა საერთო რიცხვის $\frac{1}{5}$ — $\frac{1}{3}$ დასწრება. თავდაპირველათ კრებას უნდა აერჩია თავმჯდომარე. დასახელეს სამი კანდიდატი: ან. ნატროშვილი, მ. ნასიძე და არ. ახნაზაროვი. კენჭი იყარეს მხოლოდ ნატროშვილმა და ნასიძემ. არჩეულ იქნა ბ-ნი ნატროშვილი. 31 ხმის უმეტესობით (ნასიძემ მიიღო მხოლოდ 21 ხმა).

ბ-ნი ნასიძე: მე უნდა ჩემს ხელით შევიტანო ოქმში შემდეგი: ეს არჩევა უკანონოა.

ბ-ნი ნატროშვილი იქერს თავმჯდომარის აღვილს, მადლობას უცხადებს კრებას და აღვეითქვამს წესიერების დაცვას. 1) მდინეთ ირჩევენ ივანე გომელაურს (მასწავლებელს).

გ. ტყაუაძე აცხადებს, რომ ის საზოგადოების წევრია, პაიჯ აქვს, მარა წევრების სააში მაინც არ არის მოხსენებული. გამგეობის პასუხისაგან აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ტყაუაძეს სხვისაგან შეუძენია პაი, ამიტომ წესდების ძალით ის ვალდებული იყო ეს გარემოება წინეთ გამოეცხადებოდა გამგეობისთვის და ამასთანავე შესახვედრი გადასახადიც შეეტანა (вступная плата) საზოგადოების კასაში. ამას შემდეგ კრებამ მიიღო რამდენიმე ახალი წევრი და მოისმინა ერთი საეკლესიო ქადაგება მეცამეტე საუკუნის გემონებაზე შედგენილი. 2) მარიამობისთვის კრებაზე ამ ქადაგებას სახელათ „სარეიზიო კომისიის მოხსენება“ ერქვა! შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის ანგარიში საზოგადოების ქონებრივ მდგომარეობაზე და მის აღებ-მიცემობაზე გასულ 1897—98 წლის (15 ივლისიდან - 15 ივლისამდე) განმავლობაში. აქედან

1) უნდა შევნიშნათ რომ, როგორც დაჰინასეთ ქვეით ეს წესიერება მაინც ვერ იქნა დაცული კრებაზე, რაც სხვათა შორის იქადაგებდა, რომ ბ-ნი თავმჯდომარე საზოგადოების ახალ წესდებსთან არ იყო გაცნობილი.

აღმოჩნდა აი რა: დღეს საზოგადოების აქტივობა შედგენს 18,290 მან. და 74 კაპ., ხოლო პასივი კი 19,577 მან. 22 კაპ. მაშასადამე, საანგარიშო წლის გასავალი ჭარბობს შემოსავალს 1,286 მან. 48 კაპ.; ე. ი. ეს რიცხვი შეადგენს საზოგადოების დანაკლის (დეფიციტს), ანუ ზარალს წარსული წლის აღებ-მიცემობაში. ამ ზარალის ერთი ნაწილი გამგეობას დაუქარკავს სათადარიგო თანხიდან და აგრეთვე წინანდელი მოგებისაგან გამგეობის წევრების ჯილდოთ გადადებული ფულით.

ბ-ნი დ. ნადირაძე (გამგეობის თავმჯდომარე): როცა პირველათ დებოდა დაარსებაზე ვაგმართე აქ საუბარო, ზოგი სასაცილოთ მიგდებდა, და ზოგიც იმას გაიძახოდა, რომ ჩვენში, სადაც კი დაუარსებიათ ასეთი დაწესებულება, ვერსად ვერ ჩებიოდა. მარა მე მაინც არ დეიანებე თავი, რადგანაც ღრმით ვიყავი დარწმუნებული ამ საქმის სარგებლობაში. თითო-ორიოლა პირს შემწეობით შევაგროვეთ 800 მანეთი და ამთ გვემგზავრე თფილისში საქონლის საყიდლათ. მარა ეს ფული რას გვიზამდა რომ ბ. ფორაქაშვილს და როინაშვილს არ აღმოეჩინათ შემწეობა, რომლებმაც ნდობა გამიკეთეს თფილისის ვაჭრებთან. დღემდის ჩვენ დებოში დაბანდებულია ქალაქელ ვაჭართა ფული, და ვინიცობაა უბედურება ეწვიოს დებოს, იმათი ვალო კერძოთ ჩვენ დაგვატყდება თავზე. პირველათ საქონლის საწყობი ჩემ სახლში მქონდა გამართული, მარა დებოსათვის ეს შენობა არ გამოადგებოდა, საქონელი გვიფუტდებოდა. შემდეგ ვიშოვეთ კეთილი კაცი, საერთო ძალით ავაგეთ აი ეს შენობა, რომელშიც დღეს დებოა მოთავსებული. შემდეგში სხვებმაც ამოგვიჩინეს შემწეობა. თქვენ მოგიციათ ჩვენთვის 4,265 მანეთი; დღეს ვაბარებთ 18,290 მანეთის ქონებას. მართალია შარშან ზარალი გქონდა. მარა მიიღეთ მხედველობაში ის გარემოება, რომ შარშანდელი მოუსაულოების გამო ხალხი ძალიან გაღარიბდა, შეძლება აღარ აქვს; ამის გამო აღებ-მიცემობა და ვაჭრობა დაეცა და დებოს შემოსავალმაც იკლო; ხარჯი კი თითქმის ერთი და იგივეა. ჩვენ ვიშრომეთ ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოთ, მხოლოდ იმიტომ რომ ეს საზოგადო საქმეა, თორემ ისე ორი ათას მანეთათ არ ვაყიდი მე, კერძოთ, ჩემს შრომას ერთი წლის დანამავლობაში. ჩვენ არა ვართ ღირსნი სხვა-და-სხვა საეჭვო მითქმა-მოთქმისა და დაცინვისა. მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში ენახეთ ზარალი. წინა წლებში ყოველთვის მოგება გქონდა. და ესეც რომ არ იყოს, დებოს თვალ საჩინო სარგებლობა იმაში გამოიხატება, რომ სხვა-და-სხვა საქონლის მაზანდა დასცა; მაკ., წინათ

გირფანქა შაქარი 25 — 30 კაპეიკათ იყიდებოდა, ღღეს კი ასეთი შემთხვევა შეუძლებელია: ჩვენ კიდევ სხვა საქმეებიც გვაქვს, უფრო დიდი და უფრო დიდ-მნიშვნელოვანი: თამბაქოს, სულადის, მატყლის, ღვინის და სხვ.

მღ. ლეკანოზიშვილი: ნუ თუ ხალხის გაღარიბება იმის მიზეზი, რომ შარშან საზოგადოებამ იზარალა?

მ. ნასიძე. ორის წლის წინეთ თავმჯდომარე ამბობდა, რომ ამას შემდეგ ნისია აღარ გაიცემაო. მე არა ვარ იმის თანახმა, რომ ვითომც დეფიციტის მიზეზი მოუსაგლობა ყოფილიყოს. საქმე აი რა შია: 400 თუმანი შემოსულა საწევრო ფული და 400 თუმანივე ნისიათ გაუტანიათ. მე მრწამს, რომ შემოიტანებენ მარა, ღღეს ეს 400 თუმანი უსარგებლოთ არის საზოგადოებისთვის და საზოგადოება კი სარგებლოთ სესხულობს ფულს. არის აქ ისეთი პირი, რომელზედაც 900 მანეთზე მეტი უპროცენტოთ არის და მას კი ჩვენ სარგებელს ვაძლევთ.

ახნაზაროვი: ბ-ნი ნასიძე სრულ ჰეშმარიტებას ამბობს ამ შემთხვევაში; თუ გნებავთ მე დეფინიციტს ამ პირს: ეს არის პატივცემული ივანე ნოდარის ძე გომელაური, შემდეგ გამოირკვა, რომ მართლა იმ დასახელებულ პირს ორი წლის განმავლობაში გაუტანია დეპოდან 978 მ. და 16 კაპ. ნისია, მარა მეორე მხრით ორი ამოდენა ფული აქვს მას დეპოში დივიდენზე შემოტანილი მამასადამე ეს ფული ღღეს მისთვის უსარგებლოთ ძვეს.

მ. ტყეშელაშვილი. უკმაყოფილებას აცხადებს, რომ თავმჯდომარე მას სიტყვის ნებას არ აძლევს. შემდეგ ამბობს გამგეობის აზრი ჩვენ არ გვემის. დეპო დავეცა იმიტომ, რომ უსინიდისოთ ექცეოდა მუშტრებსო.

ამას მოყვება ერთი არეულობა, ყველა ლაპარაკობს. დ. ნადირაძე ლაპარაკობს ძლიერ გაცხარებით და ზოგიერთების პიროვნებასაც ენება.

თავმჯდომარე: კრება ამტკიცებს თუ არა ანგარიშს? — თხოულობენ სიტყვას. ლაპარაკობენ ნასიძე, ახნაზაროვი, კიდევ სხვები, მარა საგანი მაინც არ ირკვევა. ბოლოს ანგარიში დამტკიცდა. შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე.

ნასიძე: უსასყიდლოთ ვერაფერ ემსახურება ამ საქმეს; გამგეობის ერთ წევრს დაუწინაშეთ ჯამაგირი.

კრება თხოვს გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ნადირაძეს, ამ საკნის შესახებ თავის აზრი წარმოთქვას.

ნ. ნადირაძე: კარგი იქნებოდა, რომ პროცენტებიდან ეძლეოდეს მოსამსახურე პირთ ჯამაგირი; მარა რომ ვერ ვიშოვით ასეთ პირებს. არც ის ვარგა რომ მარტო ერთს დაუწინაშეთ ჯამაგირი. საქიროა სამივე წევრს გამგეობისას, ან ორს მაინც

ექნეს გადაწყვეტილი ჯამაგირი. პირველ ხანებში ჩვენ უარი უნდა ეთქვათ დივიდენზე, რომ გამგეობის წევრნი დაეკმაყოფილოთ.

ძველი გამგეობის წევრნი ყველანი უარს აცხადებენ კენჭის ყრაზე. კრება ამათ თხოვს ისევ დარჩენას.

მ. ნასიძე: არ ვარგა (სამჯერ იმეორებს) იმის არჩევა, ვინც უარს ამბობს.

ახ. ახნაზაროვი: არ ვარგა იმ კაცების გაშვება, რომლებმაც ამოდენა ნისიები გასცეს და რომელთაც დიდი ნდობაცა აქვთ.

ნ. ნადირაძე: ღღეს მე აღარ შემიძლია ამ მოვალეობის შესრულება; გთხოვთ გამანთავისუფლოთ. შეიძლება ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მე ვითომც ფარისეველურათ ვიქცეოდე. არა ბატონებო, ჩემი წინადადება გულ წრფელია. ხოლო ამ საქმეზე ზრუნვას მე არაოდეს არ შევწყვეტ, სანამ ცოცხალი ვიქნები; ეს არის ჩემი შეილი და მე მას ვერ დავივიწყებ.

საზოგადოებაში გაისმის: ჩვენ ვენდევით ამ პირებს, თუ ისინი წაელენ, იმ შემთხვევაში, ჩვენ უკან მოვითხოვთ ჩვენ ფულს.

ცოტა ხნის შეჩერებას შემდეგ სხდომა იხსნება ერთი ჩოჩქოლით და აყალ-მაყალით. ე-ს-ც თხოვენ გამგეობის წევრობას ყველანი უარს ამბობენ. მთელი კრება სასაწარკვეთილებებაში ჩაეარდა. ამ დროს დაუღალავე ორატორი, მ. ნასიძე ლაპარაკობს შემდეგს: მე ვიცნობ სამ ისეთ პირს, რომლებიც სწორეთ რომ ჩვენი დეპოსთვის არიან შექმნილი და რომლებიც თუ ჯილდოს დაუწინაშეთ კიდევაც დათანხმდებიან. ესენი არიან ალ. ნადირაძე, კოტე ნადირაძე და ილ. მენთეშაშვილი (აღვ. სკოლის მასწავლებელი). დასაჩელებული პირები უარს აცხადებენ. თავის მხრით ბ. ახნაზაროვი საუცხოვოთ ამართლებს ბ. ნასიძის მჭერმეტყველობას. ამ დროს ერთი არე-დარევა და ხმაურობაა, რომელსაც ადენენ განსაკუთრებით მღვდლები. ირჩევენ გამგეობის საპატიო წევრათ ისევ ივ. ნ. გომელაურს, რომელიც დიდი ხეწნის შემდეგ თანხმდება. თანხმობას აცხადებს აგრეთვე ბ. ნ. ნადირაძეც, მხოლოთ იმ პირობით, რომ ამ თავით ექვსი თვის განმავლობაში ის განთავისუფლებულ იქმნას ამ მოვალეობისაგან. მარა მესამე წევრის დ. ჯავაშვილის სამაგიერო კაც ვეღარ იშოვეს. ამ დროს საღამომაც მოაწია, ხალხმაც ნელ-ნელა იწყო დაშლა. ამისათვის თავმჯდომარემ სხდომა შემდეგი კვირისთვის გადადვა, ჩვენ დაგვაიწყდა იმის თქმა, რომ კრებამ ერთ ხმათ აირჩია საზოგადოების საპატიო წევრათ ბ-ნი თფილისის გუბერნატორი. რომელსაც მაშინვე ეს ტელეგრაფით აცნობეს.

ასე დასრულდა ჯერ-ჯერობით ეს კრება. რასაკვირველია, ყველას თუ არა ზოგიერთებს მაინც კი აინტერესებს ის, თუ როგორ დასრულდება იგი და ან რა მოვლის თვით დეპოს, ეინაიდან დღეს მისი ბედი ამ კრების ხელშია. მარა ერთი ეკითხვოთ: გრძნობს ამას თუ არა თვით კრება, აქვს მას შეგნებული, რომ ერთი მისი მოუფიქრებელი ნაბიჯი, წინ დაუხედავი მოქმედება სამუდამოთ სიცოცხლეს მოუსპობს ამ სასარგებლო დაწესებულებას! საუბედუროთ, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. ნათქვამია „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიან“. მარა ამ შემთხვევაში რომ რამე, დაშავდეს, უთქმელობას მაინც თქმას ეამჯობინებთ. ის, რაც 2 აგვისტოს მაჩხანის კრებაზე გამოქვეყნდა, მარტო მაჩხანის დეპოს განსაკუთრებით თვისებას კი არ შეადგენს; თითქმის ასეთსავე სცენას შეხედებით თქვენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყოველ ადგილას, სადაც კი ამგვარი დაწესებულება არსებობს, სულ ერთია, ქალაქია ეს, თუ სოფელი, თფილისსავეთ შუაგული ადგილი, თუ ქიზიყსავეთ მიყრუებული კუთხე. ეს განსაკუთრებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგობის წევრები სრულებით შემთხვევით უერთდებიან ერთმანეთს, ისინი თავიანთ შორის არ გრძნობენ არავითარ შემაერთებელ პრინციპს. დაგვაღეს შენ წევრათ ჩაწერა, გადაგახდევინეს საწევრო ფული—მორჩა და გათავდა, მერე თქვენ იმის ბედი აღარ გაინტერესებთ. მართალია არიან იმისთანები, რომელთაც ეინტერესებთ ამხანაგობის არსებობა, მაგრამ ვაი ამისთანა ინტერესს: ამ ვაჟბატონთ ამხანაგობის კეთილ-დღეობა და წარმატება კი არ აინტერესებთ, არამედ ის, რომ სხვას უკბინონ, ვინც მათი მტერია, ან პირადათ არ მოსწონთ, იმაზე იყარონ ჯავრი. სამწუხარო კიდევ აქ ის არის, რომ ასეთი პირები მოპირდაპირე დასათ სახავენ თავის თავს, ოპოზიციობას ჩემობენ. ეს კუთხოხულის შეილები, იმაზე არ ფიქრობენ რომ ოპოზიციია მარტო იმას კი არ ჰქვია, წარმარა სხვები ამაგო და ჰკიცხო, არამედ ვინც ოპოზიციობას ჩემობს, იმას წინდაწინ გაელილი უნდა ჰქონდეს გზა, პრაქტიკული პროგრამა შემუშავებული და გათვალისწინებული. საზოგადო დაწესებულების მნიშვნელობა ჩვენში არ ესმით, და ამაში კერძოთ არც იგანეა დამნაშავე და არც პეტრე. კიბის პირველი საფეხურიდან სულ მალლა საფეხურზე ისე ვერ შეხტები, რომ შუა საფეხურზე არ დაადგა ფეხი. ასეა საზოგადოების ცხოვრებაც. ჩვენი საზოგადოება შემდგარია თანამდროვე წარმოების კიბეზე, მარა ჯერ მხოლოთ პირველ საფეხურებზეა და თუ შუა საფეხურებზე არ დაადგა ფეხი ისე მალლა ვერ ავა; საზოგადო-

ებას შეუძლია შეამციროს ცხოვრების კიბეზე ვლის ხანა, მორჩა და გათავდა.

მაჩხანის ორი აგვისტოს კრება და საზოგადოთ მთელი ეს ამხანაგობა, როგორც სხვა ამგვარი ამხანაგობანი ჩვენში, თელსაჩინო საბუთია იმის, რაც ჩვენ ზევით შევნიშნეთ. ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით საზოგადოებას, რომელიც მხოლოთ ანლა გამოდის პატრიარქალური ცხოვრებიდან და თანამედროვე წარმოების კიბეზე ადგამს ფეხს. მეორე მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების გულშემამტკივარი მალალი საფეხურის ნაყოფს ეპოტინებიან და გამოუთმელ დაბრკოლებას ებრძვიან. იმათი მდგომარეობა ერთ და იმავე დროს ტრაგიკულიც არის და კომიკურიც, მარა ყოველ შემთხვევაში თანაგრძნობის ღირსიც. კრებაზე თავი მოეყარა ისეთ წევრებს, რომელთაც ერთმანეთთან არაფერი არ აკავშირებს, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს იცნობენ. მაგრამ გასაკვირალი ეს კი არ არის, გასაკვირველი ის არის, რომ ეს დეპო ზოგიერთებს რალაც საოცნებო საგნათ გაუხდიათ და დაუფიწყარი დონ-კისოტის რაინდობას ჩემობენ. ვის ებრძვიან ან რა აქეთ თავპირ სამტერევი? ვთქვათ არის, რასაც უნდა შეებრძოლონ, რაც საჭიროა რომ დამარცხდეს, მაგრამ სად არის მათი იარაღი? სად გყავან ბატონები, ის კაცები, რომლებმაც უნდა დაიჭირონ იმათი ალაგი, ვინც თქვენ გსურთ რომ დაამარცხოთ? გამგელელ-გამომგელელს ხომ ვერ ჩაუგდებთ ხელში ასეთ საქმეს? არც ერთი და არც მეორე. წარმოიდგინეთ, მთელმა საზოგადოებამ ერთი კაციც ვერ გამოიხანა, რომ დროებით საქმე ჩაებარებია მისთვის! ასეთ პირობებში, მოდი და მოწინააღმდეგე ვარო, თქვი! სწორეთ სასაცილოა, რომ სატირალი არ იყოს. ასეა თუ ისე, ის კი ცხადია, რომ მაჩხანის დეპოს საქმე დღეს გადაქანებულია... ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ასეთი კომერციული დაწესებულება უნდა წარმოადგენდეს ერთ მთელს, ერთი მიზნით გამსჭვალულს. ამის პირობები კი ჯერ იქ არ განვითარებულან.

დეპოს დღევანდელი მდგომარეობის დასახმარებლათ საჭიროთ ვთვლით მოვიყვანოთ აქ შემდეგი ცნობები. მაჩხანის დეპომ დაიწყო თავის მოქმედება 1895 წ. 23 თებერვალს. საწევრო ფული (ძირის თანხა) მაშინ შეადგენდა 800 მანეთს, ჰყავდა 114 წევრი. პირველ წელიწადს 23 თებერვლიდან აგვისტოს 13-მდე—დეპოს დარჩენია წმინდა მოგება 1254 მან. და 48 კაპ. მეორე წელიწადს, ე. ი. 1896 წელს წევრების რიცხვი ასულა 148, საწევრო ფული 4150 მან., საერთო ვაჭრობა ყოფილა 40,529 მან. 65 კაპ., წმინდა მოგება 2,140 მან. 92 კ. 1897 წელს წევ-

რები 168 ²⁾, საწ. ფული 4265, საერთო ვაჭრობა 32,290 მან., მოგება 882 მან. 43 კაპ. 1898 წელს არც წვევრებს უმატია და არც საწვევრო ფულს, საერთო ვაჭრობა ჩამოსულა 24,063 მან. 84 კაპ. ამ შემცირებით აიხსნება ამ საანგარიშო წლის დეფიციტი 1,286 მანეთი, აქედან ცხადათ ჩანს, რომ დეპოსს აღებ-მაცემობა თანდათან სისტემატიურათ კლებულობს. მაშ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის და არც ერთი კაცის ბრალია.

— ჰე.

თხზულებანი მამია გურიელისა.

(შემაჯეობა *)

წერილ ლექსებში საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს „ადამიანი“. ეს ლექსი საუკეთესოა, როგორც გარეგანი ფორმით, იაე შინაარსით. ერთ-ერთ ამ თვისებათაგანს კი მამიას ლექსები ხშირათ მოკლებული არიან. ამ ლექსის შინაარსი შემდეგია: რა ბედნიერებაში ან უბედურებაშიც უნდა ჩაგაყენოს ბედმა, ყველგან უნდა გახსოვდეს, რომ „შენ ხარ მხოლოდ ადამიანი“; ადამიანის სახელის ღირსეულათ ტარებისათვის კი საჭიროა გრწამდეს იდეალი სიმართლისა, მოძმეთა და სამშობლოს სიყვარულისა. აზრი ღრმა ფილოსოფიურია, რომელიც სტოიკების მოძღვრებას წააგავს. ამ ლექსში ნათლათ არის გამოხატული მამიას ზნეობრივი შეხედულება ადამიანის ცხოვრებაზე. ამ გვარი აზრი და ასე მკაფიოთ მას არც ერთ თავის ლექსში არ გამოუთქვამს:

ცხოვრების მიზნათ სიმატლჲ გიწნდეს
და სიუკარული მოძმეთა ვაღათ:
სამშობლო შენი მაწად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გასდჲ ადამიანათ.

რაც შეეხება „ქობულეთურ ყანის სიმღერს“, რიგიანია, მარა მის ლირიკას ჩინებული ლირიკა არ ეთქმის და არც აკაკის ლირიკას შეედრება; ის თქვენი გულის სიღრმემდის ვერ წვდება, რადგანაც ამ სიტყვების თქმის დროს თვით ყანის მუშის გულიც არ ივსება სევდით; ის ყანას დამღერის თავს და ამ დროს სასიმღერო სიტყვები, ათასი მწარე და სევდიანიც რომ იყოს, მხოლოდ გარეგანი ფორმა იქნება, რომლის შინაარსსაც მომღერლის სულიერ მდგომარეობასთან საერთო ბევრი არა ექნება რა; მისი გული ამ დროს იმედითა და ნუგეშით იქნება აღესილი. ამ გვარია ყანის მუშის ფსიხოლოგია, რაშიაც დამეთანხმება ყველა, ვისაც ყანაში მუშების სიმღერა გაუგონია. რა გინდ ნაღვლიანიც იყოს სიტყვები, თვით სიმღერის კილოც, მომღერლებს სახე ამ დროს ყოველთვის მხიარული და იმედის გამომხატველია. სხვა აღაგას რომ ამბობდეს ამ სიტყვებს გლენი, მაშინ

²⁾ 168 წიგნები: ერთს აქვს ოცი თუმნის ჰაი, 11-სათ-ათი თუმნის, 50 - 80 მანეთის აქვს ჩვიდმეტს, 15 - 40 მან. ორმოცდა შვიდს, დანარჩენი თუმნისებია.

*) იხ. „გაბაღი“, № 32.

სხვა არის, მაგრამ ახლა როგორ გვაგრძნობიებს მას, რასაც თითონ არა გრძნობს. ესეც, რომ არ მივიღოთ მხედველობაში, შეადარეთ ეს ლექსი რაფიელის რომელსამე ლექსს ამგვარი შინაარსისას და დანიხანეთ, ნამდვილი ლირიკა, გლენის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი როგორი უნდა.

მამიას ზოგერთი პატრიოტული ნაწარმოები, როგორც მაგ. „კარხალის მთები“, „ალავერდი“, წრფელის გულიდან არის აღმონაკვეთი, მძლავრი და ამიტომ გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე სხვა ლექსები: აქ არის მართლა პოეზია, მხოლოდ აქ არის მამია პოეტი, მამიას მთელი არსება სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულია, მისი მიზნით „ადიდებს ღმერთს“ და მისი აწმყოთი გულგატენილს, ყოველივე, რაც კი იმის წარსულ დიდებას მოაგონებს, მის გულში მეტ გრძნობას იწვევს, დიად შთაბეჭდილებას ახდენს, მის ძალას და ყურადღებას იპყრობს. ამიტომაც ზოგერთ პატრიოტულ ლექსებში, რომლებშიაც მამია ამგვარ გრძნობას სრულიად ემორჩილება და მეტს არ ცდილობს, არ აზვიადებს, პოეტი შეენიერია. მამიას პატრიოტული ლექსები და პოემები შინაარსის მხრივ ორ ნაწილათ განიყოფებიან: პირველში ის გვიხატავს მამულის ახლანდელ დაცემას, დაუძლურებას, გვაგონებს წარსულ დიდებას, ძლიერებას („ბაირონის გიაურიდან“, „კარხალის მთები“, „პოეტი და ჩვენება“). გადაავლებს თვალს საქართველოს და ყოველი კუთხე მოუთხრობს მის ძველ დიდებას; ჩაუკვირდება ახლანდელ საქართველოს და გულ დამწვარი ამბობს:

მაგკამ, ვგანუ, გინც მგკმნობულებს, ცხოვრებს,
ჩემთანა ერთად დაღვრის მწარ ცრემლებს.

მის თვალში თანამედროვე ქართველობა „მატლ ჭიები დაგლანებულნი, ყმები—არა ტყვენი ყმებისა, შემარცხვენელი თვისის ქვეყნისა“ არიან. მას ვერც კი მოუნახავს შესაფერი სახელი ქართველობის დამცირების გამოხატავათ. „კარხალის მთებში“ პოეტი ავეიწერს საუცხოვოთ და მართლა პოეტურის ხელოვნებით უმაღლეს მწვერვალებს და ჩამოკეითელის იმ საუკეთესო ხანას და გმირებს, რომელთა მოწამეც ეს მთები არიან.

საქართველს აწყოთ კი მათ
გულსა უძკვენ, აუტოკებენ.
და შავ ღრუბლებით შემოსილები
მგლავიარობენ, წყევლიან ბედსა.
დადეს თავანსიღნი, შერცხენილები
ისევ ღრუბლებში იმაღვენ ქედსა.

ამგვართ პოეტი თავის დროის საქართველოს ძალიან ემღერის. მამია თავისუფლებას ყოველისფერზე მაღლა აყენებს, ყოველისფერზე მეტათ აფასებს, მიუხედავათ იმისა, სასარგებლოა თუ საზიანო ეს თავისუფლება.

მე სულ სხვა მინდა სანახკები,
მწკალი ხალხი ერთათ ხარობდეს,
დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,
მხოლოდ უფლებას თვისას ჭკალობდეს.

ამობს პოეტი ერთ თავის ლექსში და იქვე უმატებს:

...მეგობრებსა, მშობას, ერთობას
უშიშრად მდლათ განაცხადებდეს-ა.

ის კი ავიწყდება, რომ, საცა თავისუფლების გალობაში ხმები ერთმანერთს არ ეწყობა, იქ მეგობრობის, ძმობის და ერთობის უშიშრათ მალლა განცხადება ყოველად შეუძლებელია, რასაც თვით საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეები შევნიერათ ამტკიცებენ. მეორე მიზეზი პოეტის უკმაყოფილებისა პირადი ნიადაგია. პოეტი საყრმიდან „აღზრდილია ბრძანებლობაში“, „მამისაგან ნაანდერძივე“ აქვს თავისუფლების სიყვარული, „მტრის სიძულელი“. კარგათ ხედავს, რომ

ის სასულ გვაწათ
ვინ იყო მათგანათ
მხურბები გუჩიის, ჩაქვ აჭარისა,
ჭკავს იმას, მარა
აწვინ ამთავრა
აწვ აწის მეფე ზღვა ღაშქარისა.
აწვ აქვს ბათამი
აწვ მალა რგინის.

ამიტომ თავმოყვარე და ამპარტყანმა პოეტმა საქართველოს აწმყოს დაუასებაში პირადი ინტერესები რომ არ გაურიოს, რომ არ ინატროს ის დრო, როცა ის „მყრობი გურიის, ჩაქვა-აჭარისა“ იყო, შეუძლებელია. ამ მიზეზმა შეაყვარა წარსული ამ საუკუნის ჩვენ თავადობას და გული ააყრევინა აწმყოზე, რადგანაც თავის მნიშვნელობის დაკარგვას ვერ შერიგებოდა; ამ გარემოებამ გამოიწვია პატრიოტული მიძარტულება ჩვენ პოეზიაში, რასაც ქვევით დავინახავთ. ჩვენი აზრით ეს ორა მიზეზი ძამიას პატრიოტული ლექსების სათავეა. „ჩემი ალავერდი“-სთანა ლექსებს დღეს ჩვენთვის მნიშვნელობა აღარა აქვს. მისი მოსმენა ალტაცებაში მოგვიყვანს, მარა ეს ალტაცება უცებვე გაკვირება. ჩვენი ცხოვრება გადასწავრდა, სხვა ნაირათ დატრიალდა:

სადაც აქამდის სმლით და ძაღლით ჭეღობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობოს მოქალაქის მართავს აწ სკელი.

ქართველობამ მყუდრო ცხოვრება იგემა, განვითარების გზას დაადგა და ამისთანა დროს კი საქრო აღარ არიან მანაბლის ¹⁾ მოადგილე პოეტები, რომლებიც ხალხს ბრძოლის ველზე სიკვდილს უმაღლეს ნეუარებათ დაუსახადენ. გარემოებამ მოითხოვა ისეთი პოეტები და დამრიგებლები, რომლებმაც ჩვენ ახალი ცხოვრების კარგი და ცუდი მხარეები უნდა გავითვალისწინონ, გასაკლეფი გზა დაგვიანონ, დროის შესაფერ იარაღზე მიგეითითონ და მისი ხმარება გვასწავლონ. მამიას გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ჩვენი წარსულის შესახებ და აწმყოსაც ძალიან ამცირებს. ნამდვილათ კი ჩვენ წარსულს არც ისეთი ბრწყინვალე გვირგვინი ადგა თავს, როგორც

მამიას ჰგონია; აწმყოც არც ისე უნუგეზოა, როგორც მამია გეინატავს. ²⁾ მეცხრამეტე საუკუნე პირდაპირი ნაყოფია მეთერამეტესი; ამიტომ სამართლიანობა და ლოლიკა მოითხოვს: თუ გეინდა ქეშმარიტი წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენი ახლანდელი ცხოვრების შესახებ, მეცხრამეტე საუკუნე თამარ მეფის ხანას კი არ უნდა შევეუდაროთ, არამედ მეთერამეტეს გასულს; საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა საქართველო ამ დროს, როგორის ძალ-ღონით, წესწყობილებითა და ქონებრივ-გონებრივი სიმდიდრით გადმოღვა ფენი მეცხრამეტე საუკუნეში. როგორც სხვა დროს, ისე მეთერამეტე საუკუნეშიაც საქართველოს ყოველ კუთხით ესია აუარებელი მტერი და ერთ წამსაც არ აძლევდა მას მოსვენებას. გარეშე მტერსაც რომ თავი დავენებოთ, საქართველო მაინც ვერ მოსვენებდა, რადგანაც დინასტიური სისხლის ღვრა, სასახლის ინტრესები, მოურავებისა და ნაცვლების ცარცვა-გლეჯა მას მუსრს ავლებდა და სამარეს უმზადებდა. თუ გარეშე მტერი ძლიერი იყო, ძლიერი იყო შინაური მტერიც, რომელსაც ქვეყნის სათავეში მდგომი პირები წარმოადგენდნ. ერთ მხარეს რომ გარეშე მტრისაგან მოყენებული ზარალი დავდეთ და მას შინაური მტრის ნამოქმედარი აეუწონოთ, ძნელისათქმელია, რომელი დაძლევს. მეფე ვაჭირებაში იყო და თავად-აზნაურობას დახმარებას თხოვდა; ისინიც ენმარებოდნ, მარა, რასაც მეფეს აძლევდნ, ორ იმდენს გლეხების კსრიდან იღებდნ. როდესაც ირაკლი მოხსტდა და მამულის უბედურებამ სიცოცხლე მოუწამლა, ორგულთა მოქმედებამ ერთი ორათ იმატა და, რაც მტერს გადურჩა, იმათ ირგეს; მტრისგან გადამწვარ მამულზე მათ ხელი მოითბეს. გლეხს ჩამოქონდა თავისი ნამუშავეარი ქალაქში, რომ გაეყიდა, და აქ ან რომელიმე თავადი ან მეფის შვილი უფულოთ ართმევდა ³⁾. ამგვარ წყობილებაში ხალხის კეთილდღეობა შეუძლებელი იყო. მართალია კონონები კარგი და სწრაფი იყო მაშინ ჩვენში, მარა მათ აღარავინ ასრულებდა ავიდა გიორგი ტახტზე. თუმცა მეტათ კეთილი კაცი იყო, მარა მას ბერის ტანისამოსი უფრო მოუხდებოდა, ვიდრე მეფის გვირგვინი. ქვეყნის მართვა ნათესავებსა და კარის კაცებს მიანდო ⁴⁾. ისინიც სარგებლობდნ მეფის სისუსტით, თამამათ დანავერდობდნ საქართველოში და მისი სახელით ყველას ტყავს აძრობდნ; ცალკე ისინი ახდევინებდნ ხალხს სხვა-და-სხვა გადასახადს და ჯიბეებს იტენიდნ, ცალკე დედოფალი მარიამი ⁵⁾. ხალხიც, ამის შემხედვარე, დაზარმაცდა, ზნეობით დაეცა; ზოგი მათხოვრათ გადიქცა, ზოგი ავაზაკობით ირჩენდა


²⁾ ის. წერილები ნ. ყორღანისის მოამბე 1894 წ. № 5 და 6.
³⁾ ამას მალქობას თვით მეფე გიორგის წერილები, ღაზარკუთან მიწერილი.
⁴⁾ ცხოვრება გიორგი მე-XIII. ჰლ. იოსელიანას
⁵⁾ ის. 1) დუბროვინი მეფე გიორგი XIII ცხოვრება; 2) ბუტკოვი. Материалы для нов. истории Кавказа.

¹⁾ ირაკლი II-ის დროის პოეტი-სახანდარი.

თავს. გიორგის გამეფების გამო მთელი საქართველო ორ დასათ გაიყო. გიორგის ძმები: ვახტანგი, იულონი, ფარნაოზი-დედოფალი დარეჯანით თავში ერთ დასს შეადგენდნენ; ისინი გიორგის მოწინააღმდეგე იყვნენ და მემკვიდრეთ იულონს ასახელებდნენ; ხოლო მეორე დასს შეადგენდნენ გიორგისა და მისი შვილის, დავითის, მომხრეები. მოპირდაპირეები ერთმანეთს აღარაფრით ზოგავდნენ; თუ მოწინააღმდეგეს ხელში ჩაიგდებდნენ, ცარცვაედნენ და სიცოცხლეს ასაღმებდნენ. ოთარ ამილახვარი წერილს წერილზე უგზავნიდა გიორგის, ფარნაოზმა აგვაოხრაო; გორელები ცალკე ემუდარებოდნენ, შეგვიბრალებ და ფარნაოზისაგან დაგვიფარეო. ხევსურები, რომლებიც, დავითის მომხრე იყვნენ, ვახტანგის მომხრე არაკვისპარელებს გადაემტერენ. თფილისის ქართველობა ერთმანეთს ცარცვაედა და აოხრებდა. „რჯული არღა რჯულობა და სამეფოში, სადაც უფლებდნენ მეფის ძენი და კარის კაცნი მათნი“⁶⁾.

ივ. გომარტყელი.

(შემდეგი იქნება)



ეს ძველი ფულია.

(გუბდვნი სილაგანს)

გაგრძელება *)

VI.

ბერუას ბიძა—ლომკაცა გულენაძე მეტრეე კაცი იყო. ხშირათ წინათაც დაჰყავდა იმას ბერუა ტივის ჩაზოსატანათ რაჰის ტყეებიდან, რიონით, ქუთაისში. ამ ღვინობის თვეში, რაკი წვიმიანი ტაროსები იდგა და რიონი მოდიდებული იყო, ლომკაცა გადაწყვიტა შემთხვევით ესარკებლებია და დაზამთრებამდის ერთი ტივი შეშა კადეე ჩამოეტანა ქუთაისში. გადაწყვიტა ეს და შეატყობინა დისწულს: თუ დრო გაქვს, წამოდი ტივი ჩამომატანე და გასარგებლებო.

სარგებლობასაც რომ არ დაჰპირებოდა, ბერუა, ბიძას მაინც როგორ გააწილებდა, მით უმეტეს რომ ახლა მას მოსავალი დაბინაფებული ჰქონდა და არც სხვა სამუშაო რამე ჩანდა.

ბერუამ და ბიძა მისმა შეჰკრეს ტივი, ჩააგდეს რიონში, შედგენ ზედ, გადიწერეს პიჯვარი და გაუდვენ გზას. იმათ ორივეს დიდრონი საჭეები ეჭირათ, რომლითაც ტივს მართავდნენ. ერთხანს მშვილობიანი მგზავრობა ჰქონდათ, მარა უცებ, ერთი ენახათ, ტივი რალაცას დაეჯახა და შედგა. მიტიეებმა საჭეს მოუსყეს. ბერუამ მძლავრათ გადაჰკრა საჭე მარჯვნივ; მდღვრათ მიებჯინა ტივს და ისე ღონიერათ მოსწია საჭეს, რომ სადგომი მორკვსავით ფენებიდან გაუსწლტა და ტივი—ბოლო შებრუნებით—დაბლისკენ გაექანა. ბერუას მარტო საჭელა შერჩა ხელში, მარა იმითიც იმდენი ისაშველა, რომ თავი

დასადირაფათ წყალს არ დაანება. ხოლო ყურჭუმელოებით კი მაინც საკმარისათ იყურჭუმელოვა წყალში. ლომკაცამ, რომ ეს დაინახა, რასაკვირველია, როგორც გულადმა მცურაფმა, მაშინვე გაიძრო ტანთ საცმელი, წააფლო ტივის გრძელ თოკს ხელი და საჩქაროთ მიეშველა ბერუას; წააფლო მას მკლავში ხელი, მოაბა თოკი, წამოეწია ტივს და ზედ შესვა. მარა ბერუა მაინც ისეთი გალახული იყო, რომ სულს ვერ იბრუნებდა. მას იმ წამსვე ძლიერათ გააცთვა და მერე ფენზედაც აღარ წამომდგარა.

მართალია, ყოველივე ღონის ძიება იხმარა ბეჩაფმა პელუამ: მარჩიელსაც აკითხვინა, უჭმურისაც შეალოცვინა, შეშინებულისაც; ცხვარი და მამალიც შამოაფლო თავზე; ბოლოს ვილაც „ფერშალ“⁷⁾ კა მოიყვანა, მაგრამ ამაოთ, ბერუას ფილტვების ანთება დაემართა და სწორზე სული დალია.

VII

დაქერიედა უღროოთ საცოდავი პელუა. დაობლდა მისი პატარა ქალი ღათინა. დაჩხა უპატრონოთ ოჯახი. დაითუთქა გული უთვისტომო ადამიანი. ვინ არის მისი შემზრალბელი, ნუგეშის მცემელი, გამამხნევებელი, ხელის შემწყობა? არაფინ: მისთვის არც დედა, არც მამა, არც ძმა, არც და. ერთი სიტყვით არაფინა იმისთანა, რომ მათზე გული შეტკიოდნეს რა ჰქნას? ვის შეჩიელოს თავისი მწუხარება? ვისი იმედი უნდა ჰქონდნეს? ვინ უპატრონებს?.. ღმერთი! ის ერთათ ერთი მფარეული ყველა ბედნიერთა და უბედურთა.

მართალია, პელუა ჯერ სულ ყმაწვილი არის-იმას შეუძლია ცოლათ წაჰყვეს ბერუაზე უფრო მდ; დარ გდენს. ბევრი ბერუაზე უფრო ყმაწვილიც უარს არ იტყვის პელუას შერთაზე, რადან მას სილაამაზე ჯერ სრულიად უცვლოლათ შერჩენია, და ამასთანავე მთელ სოფელში გათქმულია თავისი ხელ-საქმით და ოჯახაზრის ცოდნით, მარა პელუა განა ამისთანაა?? განა ის კიდეე იფიქრებს გათოვებას?! განა ასე ადვილთ დაიფიწყებს თავის საყვარელ ბერუას და მის შემდეგ სხვას მისცემს ნებას, რომ თავისი ალერსთ დაატკბოს?! არასოდეს!.. გლახათ იელის, კარის-კარ ლუქმა პურს ითხოვს და ბერუას სიყვარულს მაინც არ უღალატებს; ამავე აზრის არის ის ახლა და ამავე აზრის იქნება საფლავის კარამდე.

—მადლობა ღმერთს, ამბობს ბედკრული ქალი: —მე თუ იღბალი მქონოდა, ერთი ნათესავი მაინც მეყოლებოდა; ჩემი ღათინა ჩემზე უფრო ბედნიერთა, ამას დედა მაინც ვყვეარ და, თუ ღმერთმა სიცოცხლე მომცა, უმამობას არც კი ვაგრძნობინებ. ვინ იცის, იქნება დედ-მამის უბედურება აკმაროს ამას ღმერთმა და ბედნიერი იქნესო.

გაუოარკვედა პელუას შვილის სიყვარული. ახლა ეს მისთვის ქმარიც არის, დედაც, მამაც, ერთი სიტყვით ყველაფერი. ეს არის იმის ერთათ ერთი იმედი, რომელმაც სიცოცხლეში უნდა გაახაროს და სიკვდილს შემდეგ შენდობა შეუთვალოს. ზრდის იმას ფუფუნებით, თავს ევლება; მისთვის საჭმელიცა

6) შლ. იოსელიანის. ცსოკრება გიორგი XIII
 7) ის. „ქკალი“, № 32.

აქეს, სასმელიც, ტანიც და ფეხიც; თვითონ კი ყოველ გაჭირვებას იტანს; მუდამ ძაძებში გახვეული ხან წაღლით ხელში, ხან თონით დატრიალებს ეზოში მეოჯახე კაცსავეთ; თვითონ თონის, ბარაგს თითონ ჭრის შეშას. თავისი ძროხა და ხარები გაპყიდა, რადგან მოვლა არ შეეძლო და ფულათ აქცია, მაგრამ თავის დროზე დამხენელსაც მოულობს და დამფარცხველსაც მეზობლებში, რომლებსაც სამაგიეროთ ან საჩოხე შალს მოუქსოვს ან ახალუხს შეუკერავს და ან მუშაობაშივე მოეხმარება. თუ რასმე თავის ხელსაქმიდან ან ოჯახის შემოსავლიდან იზოვის, კაპიკს-კაპიკზე ადებს და თავისი ლათინას სამზითვო ფულს უმატებს, რომელიც მას ათასნაირათ გამოკრულ-გამოკვანძული მუთაქაში აქვს შენახული.

ფული პელუას თითქმის სამას მანეთამდე აქვს; ზოგი ქმრის დატოვებული, რითაც ის უბედური მიწის ყიდვას ფიქრობდა, ზოგი ხარების და ძროხის ნაფასი და მისი შენაძენი, მარა ამას ვერვის უცხადებს და ვერ ასარგებლებს, რადგან დაკარგვის ეშინია. ამ ფულს ინახავს იმ დღისათვის, როდესაც ლათინას ბედნიერებას ელირსება. უნდა, რომ ამ ფულის საშუალებით ლათინა ისეთ ვისმეს მისცეს, რომელიც მისი ბერუასავეთ დღე და ღამ არა შრომობდეს. მოუთმენლათ ელის პელუა ამ სანატრელ დროს და აი კიდევაც მოაწია ამ დღემ.

VIII

ლათინა თექვსმეტი წლისაა; ის ყველაფრით შემკულია გლეხკაცის შვილის პირობაზე, ერთი სიტყვით ნამდვილი დედის სურათია.

ბევრ სოფლის კოხტა ბიჭს რჩება იმაზე თვალი. ხშირათ მოუდის პელუას ლათინას მაჰანკალი, მაგრამ პელუა ყველას უარით ისტუმრებს.

— არ მინდა უბრალო მიწის მუშას მიეცე ჩემი ვაი-ვაგლახით გამოზრდილი ქალი, ეუბნება პელუა მაჰანკლებს:—ამ დასამზობ ქვეყანაში მუშა გლეხი, რაც უნდა შეძლებული იყოს, მაინც, თუ ცოლი ყანაში გვერდით არ მოიყენა, ისე ვერ ახერხებს ცხოვრებას, ჩემი ლათინა ვინმე ვაჰარს ან მოხელეს უნდა მივათხოვო.

ღიას, პელუას არ უნდა, რომ მის ლათინას მასავეთ და სხვა მის მეზობელ ქალებსავეთ, ყანაში მუშაობა დაჭირდეს. მას თავის თავზე აქვს გამოცდილი თუ რა მძიმე ჯაფაა ქალისთვის კი არა კაცისთვისაც თონით და ცუდით მუშაობა.

— პელუა! იცი, რა გითხრა? უთხრა ერთხელ პელუას ერთმა ახლობელმა მეზობელმა, რომელიც ტყიბულში რალაც საიჯარო საქმეებს აწარმოებდა.

— შენი ლათინა უნახავს სადღაც ერთ ტყიბუ-

ლელ კაცს, რომელსაც, შეიძლება კიდევაც ვიხსოვებოდე — ვანუა ნახშირადეს... კაი მომცეს ღმერთმა კაი ბიჭი და კაი სასიძო იგი იყვეს, დაუმატა მოლაპარაკემ ტუჩების ცმატურით და თვალების ნახვით.

— ხო იმას ვამბობდი: შენი ქალიშვილი უნახავს იმ ვანუას... ხომ იცი, რა შეძლებული გლეხის შვილია? მამა მისს ხუთი ათასი მანეთის ნახშირის მადანი ექნება, თუ მეტი არა. ესეც რომ არ იყვეს, თითონ ვანუას შეენიერი ღუქანი აქვს პირველ ადგილზე ტყიბულში, მის ღუქანში გუშინ „ოკრუენოი სუდის“ ჩიუნები იჯდენ სადილათ. გუშინ რაია! გუშინ კი არა ყოველ დღეს მის ღუქანში იმისთანა ვინმეები სადილობდენ, რომლებიც სხვაგან ერთ „სტაქან“ ლეინოსაც არ დალევენ. ტყიბულელები ხომ, თუ კი ვინმე ხეირიანია, სულ იმასთან არიან...

— ეგ ყველაფერი კაი და კეთილი, გაწყვეტინა სიტყვა მოლაპარაკეს პელუამ, რა კი ნახა, რომ ის ისე გაიტაცა ვილაც ვანუას ქებას, რომ რისიც თქმა უნდოდა ის თითქო სრულებით დაავიწყდა.

— მერე რა, რომ უნახავს ჩემი ლათინა? მოწონება?

— ჰო, მოწონებია და ამბობს, შევირთავ, რომ რამე ექნებოდესო.

— რამე ექნებოდესო?! გაიმეორა რალაც დაუნდობელი კილოთი პელუამ, თითქო ეშინია, ეს კაცი შემოჩენილი არ იყოს ვისგანმე ჩემი ქონებას ვასაგებათო.

— რამე რატომ არ აქვს! განაგრძო მან ცოტა ფიქრს შემდეგ: ეს სახლი და ეზო მაგისი არ არის!

— სახლი და ეზო, ბეჩა, რა არის?! იმას ხუთას-ექვსას მანეთიან ქალები ეძლევა, შენი სახლი და ეზო კი დიდი დიდი ხუთმეტრ თუშანი ღირდეს. მერე ისიც აქ, — ბლუეთში. ტყიბულელ კაცს რა ხელს მისცემს მაგისთანა ქონება... შენ ის თქვი, ფული უნდა გქონდეს ერთი ოთხასი მანეთი, რომ საქმე ხელათ გაეკეთო. დააბოლოვა სიტყვა რალაც უიმედოთ მაჰანკალმა.

სოფლის კაცი.

(შეძვევი იქნება)

„ქვალის“ ფოსტა.

ქუთაისში: ხელოსანთა მამასახლის ბ. კანდელაკს. თქვენ მიერ ალექსიძის საპასუხოთ გამოგზავნილ წერილს ვერ ვებედავთ, რადგან ფაქტიურათ ვერ უარყოფთ ბ. ალექსიძის ბრალდებას და საზოგადო ლიბერალური ფრაზებით თავის მართლებას ვერაფერი საბუთია.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წიკეთლისა.